

ნიადაგების გეოგრაფიული გავრცელება და მისი ნაყოფიერების  
მნიშვნელობა მთაწმინდის ურბანული ტყის მაგალითზე

თორნიკე ზაუტაშვილი

ელ-ფოსტა: E-mail: [Tornike.zautashvili2014@ens.tsu.edu.ge](mailto:Tornike.zautashvili2014@ens.tsu.edu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი.ჭავჭავაძის პრ. #3, თბილისი

საქართველოში ნიადაგის დაცვის პრობლემა დიდ მნიშვნელობას იძენს, ადამიანის არასწორი სამეურნეო საქმიანობის შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგები. ნიადაგის დაცვა სახელმწიფოებრივი პრობლემაა, რადგან საქართველოში გავრცელებული ყველა ტიპის ნიადაგის სწორი და რაციონალური გამოყენება სოფლის მეურნეობის და საერთოდ ეკონომიკის დინამიკური განვითარების მთავარი რეზერვაა.

გარემოს დაცვასა და ურბანიზაციის დონეს შორის წონასწორობის შენარჩუნება მეტად აქტუალურია, ქალაქის განვითარება, უსაფრთხოება და ცხოვრების ხარისხი უშუალოდაა დაკავშირებული მისი ეკოლოგიური გარემოს ხარისხზე, აქედან გამომდინარე აუცილებელია ყველა იმ პრობლემის შესწავლა და გააზრება, რომელიც უკავშირდება თანამედროვე ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობას.

ხე-ტყის მასობრივმა გაჩეხვამ და ამავდროულად ადამიანის დაუდევრობის შედეგად გამოწვეულმა რიგმა პროცესებმა მთაწმინდის ფერდობზე არსებული ეკოსისტემა მნიშვნელოვნად დააზიანა. ნაშრომში წარმოდგენილია მთაწმინდის ფერდობზე არსებული ნიადაგების კვლევა. თბილისის ურბანული ტყის პროექტის ფარგლებში ნიადაგის 78 ნიმუში აღებულ იქნა 31 საველე ჭრილიდან და ნიადაგის 5 პროფილიდან.

კვლევის ძირითადი მიზანია მთაწმინდის ტერიტორიაზე თბილისის ურბანული ტყის გაშენების ფონზე ნიადაგების დღევანდელი მდგომარეობის შესწავლა და აქ გასაშენებელი მცენარეული საფარის შერჩევითვის ქმედითი რეკომენდაციების შემუშავება.